განკარგულება:**g-37. 37253033**
თარიღი:**30/10/2025**

განკარგულება N47

30 ოქტომბერი 2025 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 98-ე მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის 2025 წლის 30 ოქტომბრის №2 სხდომის ოქმი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნას საკრებულოს წევრი დავით დარჩია.

მუხლი 2. მიღებული განკარგულების თაობაზე ეცნობოს:

1. სსიპ ,,ანტიკორუფციულ ბიურო“-ს;

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2025 წლის 30 ოქტომბრიდან.

ნუგზარ ურუშაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
თავმჯდომარე (უხუცესი წევრი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი